[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კონსტანტინეს ქუჩა, № 4. ტელეფონები: [illegible] 14—76. სტამბის [illegible]

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. [illegible]
კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 23 ივნისი 1921 წ.

№ 90 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 90

მეტი თავდადება!

დაგვიდგა მეტად მწვავე ზაფხული: მწვავე არა სიცხით, არამედ უსურსათობით. ეს ადვილი ასახსნელია: საქართველო ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში გარედან შემოტანილი პურს მუდამ საჭიროებდა და ახლა მით უფრო, როცა სხვადასხვა მიზეზებით დახნულ-დათესილის სივრცე თანდათან შემცირდა.

მას ასაზრდოებდა რუსეთის ვრცელი გაშლილი ნოყიერი ხოდაბუნები, ისე, როგორც ეს ხოდაბუნები წინათ სხვა ბევრ ქვეყნებსაც ჰკვებავდა; მაგრამ ყველამ ვიცით, რომ გასულ წელს რუსეთს ამ მხრით ბუნებამ დიდი მოულოდნელი უძლურება მოუვლინა და ამით მსოფლიო რევოლიუციაც განსაცდელში ჩააგდო. რუსეთის ბევრ გუბერნიაში ხორბლეული თითქმის სულ არ მოსულა და მოსავლიანი გუბერნიები იძულებული იყვნენ, თავიანთი ზედმეტი მოსავალი დამშეულ გუბერნიებისათვის გაენაწილებინათ და ამიტომ იგი გარეთ არ გაეტანათ.

აქედან სხვათაშორის ჩვენი ქვეყანაც რუსეთის პურს წელს სრულიად მოკლებული შეიქნა; და როცა ეს მთავარი წყარო დაშრა, სხვა მცირე წყაროებმა ვერ შესძლეს იმ წყურვილის მოკვლა, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდის.

მაგრამ ცხადია ეს თვალსაჩინო ახსნა-განმარტება ვერც მტერს და ვერც მოყვარეს ვერ დააკმაყოფილებს და ვერ გაუქრობს იმ მოტივებს, რომელსაც საზოგადოთ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი ეძლევა.

ჩვენი რესპუბლიკის მტრები ამ მდგომარეობით სარგებლობენ თავიანთი სამტრო მოტივების დასაკმაყოფილებლათ და მუშურ-გლეხური მთავრობის საწინააღმდეგოთ ჩუმს, ლაჩრულს, და ჭორისა და ცილისწამებით სავსე აგიტაციას ეწევიან, რომ „გული მაინც მოიფხანონ“. მეორე მხრით მოყვრებიც მოსალოდნელი შიმშილის წინაშე ძრწიან და კანკალებენ: თავიანთ თავში პროლეტარულ სიმტკიცეს და მხნეობას ნაკლებათ პოულობენ და იმედს ჰკარგავენ. ეს არც საკვირველია. ვინაიდან ჩვენებური მშრომელი მასსა ყოველთვის რუსეთის პროლეტარიატის მაგალითებით მხნეობდა და გულს იმაგრებდა, ყოველთვის ის მას მხოლოთ ბრძოლაში და გამარჯვებებში ეჯიბრებოდა, მაშინ როდესაც პროლეტარიატი მხნე და გაუტეხელია დამარცხებაშიაც და მოულოდნელ უბედურებაშიაც.

პროლეტარიატი ჭირშიაც და ლხინშიაც ემყარება თავის კლასობრივ სოლიდარობას და ეს მას საშუალებას აძლევს ყოველთვის გაუტეხელი და მხნე დარჩეს!

აი ეს პირობა—კლასობრივი სოლიდარობა აკლია ჩვენს მუშა ხალხს, რომ ყოველ გასაჭირში წუწუნს მოჰყვება ხოლმე.

სულ სხვაა პროლეტარული მტკიცე მუშური მასსა, რომელსაც ბრძოლაში გაკაჟებულ გამობრძმედილი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს და წინ უძღვის!

რუსეთის დიადი რევოლიუციის მსვლელობაში ჩვენ მოწამენი ვიყავით მრავალჯერ, თუ რა განსაცდელში ჩავარდა რუსეთის არა მარტო მუშათა კლასი, არამედ მთელი მშრომელი ხალხი, მაგრამ ჩვენ ისიც ნათლათ ვიხილეთ, თუ როგორი ბრწყინვალე გამარჯვების შარავანდედით შეიმოსა მისი არსება—სახე.

რუსის ხალხმა გაიმარჯვა უსწორო ბრძოლაში მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ: უკუაგდო უცხოეთის და შინაური მტრების ურდოთა შემოსევა! მან სძლია შიმშილს და სიცივეს მრავალჯერ და დღეს ის ისეთივე გულგამეხებით და სიმტკიცით ებრძვის საშინელ ეკონომიურ კრიზისს და არევ-დარევას. რამ მისცა მას ეს ჯადოსნური ძალა, რამ შთაუდგა მას უძლეველი სული და რამ იხსნა ის მრავალ გზის განსაცდელისგან? მხოლოთ და მხოლოთ იმ პირობამ და გარემოებამ, რომ მას ჰყავდა და ჰყავს მრავალ მილიონიანი მტკიცე შეურყეველი სამრეწველო პროლეტარიატი, რომ ამ პროლეტარიატს ხელმძღვანელობდა თავიდანვე და წინ უძღოდა მსოფლიო პროლეტარიატის პარტია, კომუნისტური პარტია, და ამ მებრძოლი მსოფლიო პროლეტარიატის სამხედრო შტაბი—კომუნისტური ინტერნაციონალი.

პროლეტარული სოლიდარობა, თავდადება და პროლეტარული მტკიცე ურყევი ორგანიზაცია, აი ის ძალა, რომელიც ამსხვრევს და აქრობს ყოველგვარ დაბრკოლებას და სძლევს ხოლმე ყოველგვარ გასაჭირს!

ჩვენ რომ ეს უკლებლივ მოგვეძეოდეს, მაშინ ყოველივე წუწუნი და უკმაყოფილება უსურსათობის გამო თვალის და ხამხამებაში გაქრებოდა, მაშინ ჩვენ პროლეტარულ ღირსების სიმაღლეზე დავდგებოდით და ვიტყოდით: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“! მაშინ ვიტყოდით: საქვეყნო საქმე კიდევ მსხვერპლს, თმენას, წამებას ითხოვს და დე ვიყო მსხვერპლი, ვიყო გვემულ წამებული, თუ კი ამით მომავალში მაინც ქვეყანა გაბედნიერდება.

აი ეს იქნებოდა ჩვენი მხრით პროლეტარული თავგანწირვის გამოჩენა, საჭირო თავდადების განხორციელება; და ამ თავდადების გრძნობის გამოჩენით იმაზე გაცილებით მეტს ავიტანდით, რასაც დღეს უნებურათ წუწუნითა და ბუზღუნით ვიტანთ.

მართალია პროლეტარიატი „მატერიალისტია“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სულის ძლიერება არა სწამდეს და იდეოლოგიის ძალას არ იმარჯვებდეს. პირიქით მისი ფარხმალი ხშირათ იდეიაა და იგი ამ იდეიით ყოველთვის იმარჯვებს“. ნივთიერი მდგომარეობა დედაა იდეიის, რომელსაც თავის მშობელი გაჭირვებიდან გამოყავს.

მაშ მეტი პროლეტარული მხნეობა, მეტი თავდადება უნდა გამოვიჩინოთ, თუ გვინდა რუსეთის პროლეტარიატის მსგავსათ ჩვენც უვნებელი გამოვიდეთ დღევანდელი გასაჭირიდან. ჩვენ მხოლოთ ისღა დაგვრჩენია, რომ მას მივბაძოთ და მისი გაკვეთილი მარჯვეთ გამოვიყენოთ!

რ. ქ.

საბჭოთა რუსეთში

გრუზკავროსტას დეპეშები.

მუშათა დღესასწაული.

მოსკოვი. 16 ივნისი, (რადიო). პარასკევს, ივნისის 17, მოსკოვი დღესასწაულობს ქვეყნის ყველა კუთხიდან კომინტერნის მე-3 მე ყრილობაზე დელეგატების ჩამოსვლას. ეს დღე სახსოვრად დაურჩება მთელ საბჭოთა რუსეთის მშრომელ ხალხს. კომინტერნის 3 კონგრესი არის დიადი საერთაშორისო ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ნაწილები ყველა ეროვნება და ხალხი. მრავალ მილიონი მშრომელებისა, რომელნიც მზად არიან მსოფლიო იმპერიალიზმთან თავგანწირულ ბრძოლისათვის. ვდღესასწაულობთ რა უცხო დელეგატების ჩამოსვლას, ვესალმებით რა მათი წარმომადგენლების სახით ყველა ქვეყნის მშრომელთა შეგნებულ ავანგარდს, ჩვენ ერთის მხრივ გამოვსთქვამთ მადლობას იმ დახმარებაზე, რომელიც მათ ჩვენ აღმოგვიჩინეს, მეორე მტკიცე იმედს, რომ ისინი თავისი ძალთა გამაგრების მიხედვით აღმოგვიჩენენ უფრო სერიოზულ დახმარებას. (კავროსტა).

ლოზუნგი ახლო მასებთან.

მოსკოვი. 17 ივნისი, (რადიო)—მეტი საქმიანი კავშირი უპარტიოებთან მეტი სისტემატიური არჩევანი ახალ უპარტიო მუშაკებისა. (კავროსტა).

მეურნე კომუნისტი.

მოსკოვი. 16 ივნისი, (რადიო). თითოეულ კეთილ-სინდისიერი მეოჯახე ამ ჟამათ სასარგებლო და ღირსეული წევრია საბჭოთა სახელმწიფოსი. ის თავის შრომით ემსახურება ნგრევის დამარცხების საქმეს. მაგრამ კომუნისტი უნდა იყოს საზოგადოებრივი მეურნე და სახელდობრ ის თავის მეურნეობის საქმეს უნდა შეუდგეს საზოგადოებრივისა და საქვეყნო თვალ საზრისით. ეხლა ტარდება ლაშქრის ფართე დემობილიზაცია და ჩვენი წითელ-არმიელები კიდევაც უბრუნდებიან თავ თავის მშობლიურ კერას, რათა მათ სამეურნეო ფრონტზე განაგრძონ კომუნიზმის მოპოების და განმტკიცების დიადი საქმე. მთელ თავის ძალღონეს, ცოდნა-გამოცდილებას და კომუნიზმის დიად საქმისადმი ერთგულებას ისინი მოახმარენ თავის სოფლის და თემის სამეურნეო აღმშენებლობას.

ახალი დადგენილებები კოოპერაციის შესახებ.

მოსკოვი. 16 ივნისი, (რადიო). რომ მეტის-მეტი არ შევიწროვდეს კოოპერატივები ზედმეტი ფორმალისტობით, სრ. რ. ც. ა. კ. გადასწყვიტა: გაუქმდეს კოოპერატივებზე დაწესებული წინასწარი რევიზია.

ნატურალური გადასახადის აკრეფა.

მოსკოვი. 16 ივნისი, (რადიო). ზოგიერთ ნაწარმოებზე, კვერცხსა ერბოსა, და მატყლზე—ნატურალურ ბეგრის აკრეფა უკვე დაიწყო. დამამზადებელმა კანტორებმა არა თუ მარტო უნდა მიიღონ და ჩაიბარონ ეს გადასახადი, არამედ კარგათ შეინახონ და დაიცვან დაგროვილი ჭირნახულის გაფუჭებისა, დალპობისა, დატაცებისა და მოპარვისაგან, გადაზიდვისა და ხარისხებად დაყოფის დროს. უნდა მოეწყოს ყველა მომზადებელ კანტორებში ფართო ანგარიშის წარმოება. ეს ანგარიშები უნდა გაირჩეს ყოველ კრებაზე, საბჭოებში და უპარტიო მუშა გლეხთა კონფერენციებზე. ყველა შენიშვნები მათ მხრივ ძალიან გულდასმით მოსმენილ უნდა იქნას. (კავროსტა).

სათბობი მასალის დასამზადებლად სამ-კვირეულობა.

მოსკოვი. 16 ივნისი. (რადიო). ივნისის რვამდე სათბობ მასალის დამზადების მიზნით გამოცხადდა სამკვირეულობა 34 გუბერნიაში. ფულის ნიშნების უქონლობისა და სასურსათო კრიზისის გამო ზოგიერთი მუშაობა ადგილებში მეტად ფერხდება. ბევრს ადგილებში კი სამკვირაობა ენერგიულათ ტარდება. ადგილობრივმა ორგანოებმა გამოაცხადეს შრომის მობილიზაცია და ამ მუშაობის საწარმოებლად საჭირო იარაღები შეიძინეს.

ნატურით დაჯილდოების ახალი ცდა.

მოსკოვი 16 ივნისი, (რადიო). თითოეული მუშა, თითოეული პროფკავშირი უნდა გაეცნოს მიმდინარე წარმოებიდან ნატურალურ დასაჯილდოვებელ ფონდში გადარიცხულ პროცენტთა სარგებლობის წესის შესახებ გამოცემულ ახალ ინსტრუქციას. ამ ინსტრუქციაში ნაჩვენებია ის გზა, რითაც უნდა ხდებოდეს ამიერიდან ნატურალურ დაჯილდოვება. პროცენტების გადარიცხვის უფლება ენიჭება მხოლოდ იმ სახელმწიფო წარმოებას, რომელიც თავის საწარმოვო პროგრამის არა ნაკლებ 60 პროც. შეასრულებს. მასსის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითად პირობას შეადგენს წარმოებითი უნარის გადიდება. წარმოების მიერ საპროცენტო გადარიცხვა მაშინათვე შესწყდება თუ კიდევ განმეორდა წინად არა ერთხელ შემჩნეული ნაწარმოებ საქონლის გატაცება. რომ ძირშივე აღმოიფხვრას ზარმაცობა, უქმათ დროს ტარება და დაუდევრობა და რომ წახალისდეს პატიოსანი მუშაკნი, ნატურალურ დასაჯილდოვებელ ფონდში გადარიცხული საქონელი აღირიცხება წარმოებაში მომუშავე თითოეულ მუშის სახელზე პროპორციონალურად იმის მიხედვით თუ რამდენი საქონელი დაამზადა თითოეულმა მუშამ. (კავროსტა).

ძმური დახმარება მოსკოვს.

მოსკოვი. 16 ივნისი. (რადიო). სრ. რ. ც. ა. კ. პრეზიდიუმი, მოაგონებს რა ყველა საგუბერნიო აღმ. კომიტეტებს იმ მძიმე და საშინელ სასურსათო მდგომარეობას, როგორშიაც ამჟამათ მოსკოვი იმყოფება, წინადადებას აძლევს ყველა მათ, რათა აღმოუჩინონ ფართე და ყოველმხრივი დახმარება მოსკოვის მომმარაგებელთ კომუნის აგენტებსა და განყოფილებებს. (კავროსტა).

ძმური სალამი ნორვეგიის გაფიცულ მუშებს.

მოსკოვი. 12 ივნისი (რადიო) პროფკავშირთა საბჭომ ნორვეგიის გაფიცულ მუშებს ძმური სალამი გაუგზავნა. წითელ პროფკავშირთა საერთაშორისო ყრილობა ჰპირდება შექმნას მუშებისადმი საერთაშორისო სოლიდარობის პრაქტიკული ფორმა და საერთაშორისო ფონდი ყველა პროლეტარიატების დასახმარებლად, რომელნიც კაპიტალისტურ ექსპლოატაციის წინააღმდეგ იბრძვიან.

ფინეთის სავაჭრო დელეგაცია.

მოსკოვი. 16 ივნისი. (რადიო). (დასაწყისი არაა მიღებული) დელეგაციის სათავეშია ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგი, დელეგაციამ კონკრეტიული წინადადება წამოუყენა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საწოსტნე ინვენტარის, რძის ნაწარმოების, სანოვაგის, თეთრი ქაღალდის ჩამოტანისა და ფინეთის ქარხნებში ორთქლ-მავალთა შეკეთების შესახებ. დელეგაცია პირობას იძლევა, რომ ფინეთი ყოველდღიურათ პეტროგრადს მიაწვდის 20 ათას ბოთლ რძეს და აგრეთვე ეხლავე კი 50 ათასს კუბ. საჟ. შეშას. 200 ათასი შორის შემოტანის შესახებ წინადადება თითქმის მიღებულია. მხედველობაშია აგრეთვე 500 ათას ფუთი ფინური ქაღალდის შესყიდვა პეტროგრადში ჩამოტანით. ყოველი შესყიდვის პირობის შეკვრის საქმე შესრულებულ იქნა მოსკოვში და წინასწარ მისი დამტკიცება მოხდება ადგილობრივად ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლის მიერ. ფინეთის დელეგაციის დიდათ აინტერესებდა ჩვენი ნედლეულობა, კრეფდა ცნობებსა და ნიმუშებს. (კავროსტა).

საზღვარ გარეთ

გრუზკავროსტას დეპეშები.

ოსმალეთი და ანტანტა.

მოსკოვი. 16 ივნისი. ანგორის მთავრობა მოითხოვს ოსმალეთის სუვერენიტეტის ხელშეკრულებას მცირე აზიაში. ძლიერდება პროპაგანდა ინგლისის წინააღმდეგ. (კავროსტა).

ინგლისის „ნეიტრალიტეტი“.

ანგორა. მთავრობის ცნობა. სპეციალურ და სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით, ინგლისელებმა ბერძნების დამარცხების უმალვე ბრუსში ვითომდა ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცდენათ და ნეიტრალური ხაზის დასაჭერად გაგზავნეს მუდანიაში ერთი ათასეული და მასთან გაიგზავნა ყოველგვარი სამხედრო მასალის დიდი რაოდენობა, აგრეთვე მსუბუქი და მძიმე არტილერია. ყველა ეს სამხედრო მასალა და საომარი იარაღი ინგლისის ათასეულის მუდანიაში მოსვლისას გადასცეს ბერძნებს, რის შემდეგ ათასეულის ნაწილი უკან გაგზავნეს. საბერძნეთის დამარცხების შემდეგის დასაფარავად ინგლისელებმა შემდეგ გაგზავნეს თავისი ჯარი აგრეთვე ისმიდშიაც. ინგლისელები ვითომ და სრუტეების დაცვის მიზნით განაგრძობენ ბერძნებისადმი ზარბაზნების და ყოველგვარ სამხედრო და საომარ მასალების მიწოდებას.

პეტლიურელთა მხილება.

ლვოვი. 25 მაისი. გაზეთი „წინ“ იუწყება, რომ პეტლიურელთა „პატრიოტებ“ სურთ შეაგროვონ პოლონეთში მყოფ პეტლიურის ლაშქრის უკრაინელი ჯარის კაცობა და ოფიცრობა საფრანგეთის საზღვარ გარეთის ლეგიონში, რომლის მიზანი იქნება სახალხო მოძრაობათა ჩაქრობა მაროკოსა, ტუნისა, მადაგასკარსა და სხვა ახალშენებში. გაზეთი ამ ნაბიჯს უწოდებს შემცდარს დანაშაულს და ავანტიურისტულს. უფრო საზრიანი იქნებოდა სხვა ქვეყნებში მყოფ უკრაინელებისათვის ხელის შეწყობა უკრაინაში დაბრუნებისათვის.

გერმანელი ლტოლვილები ზემო-სილეზიაში.

ნაუენი. 11 ივნ. (რადიო). გერმანელ მცხოვრებთათვის ზემო სილეზიაში ფრიად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ეს მტკიცდება იმ ფაქტით, რომ საპლებისცტო რაიონიდან გერმანიაში 6,650 გერმანელი წავიდა და 16,300 უმუშევარი დარჩა.

ნაძარცვს იყოფენ.

რომი. 16 ივნ. (რადიო). შაბათს ლონდონში მოხდება ყრილობა მოკავშირე სახელმწიფოთა ფინანსთა მინისტრებისა, გერმანიის მიერ გადახდილ ერთ მილიარდ მარკა ოქროს გასანაწილებლად. (კავროსტა).

ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა თავდება.

ბორდო. 15 ივნ. (რადიო). (დამახინჯებულია). მემაღაროეთა ბიურო წინადადების გამო. ქვანახშირზე მომუშავენი, როგორც მოსალოდნელია, მუშაობას ორშაბათს განაახლებენ. (კავროსტა).

წითელ სარდლის გასამართლება.

ლიონი. 13 ივნ. (რადიო). ბერლინში ასამართლებენ მაქს გელიცს, რომელიც მარტის რევოლიუციის დროს წითელი არმიის წითელი სარდლად იყო. მიღებულია სასტიკი ზომები მოსალოდნელ უწესოებისა და კომუნისტთა გამოსვლის წინააღმდეგ

კომუნისტური აგიტაცია ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსი. 1 ივნისი. (რადიო). მიერნებორგის რაიონში ყველგან გაკრული იყო პროკლამაცია გაფიცვის მოწოდებით. მოითხოვენ კავშირების და კრების თავისუფლებას კომუნისტებისათვის, პოლიტიკურ ამნისტიას, მუშების მიღებას, მუშათა კონტროლს და სხვ.

პროკლამაციაში მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლების შემოღებას ფინლიანდიაში. (კავროსტა).

პირმოთნეობენ თუ მტრობენ.

ლონდონი. 13 ივნისი. (რადიო). იაპონიის საელჩომ ოფიციალურად განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობამ, რომელსაც არ სურდა საქმის გართულება მთელი ძალ-ღონით სცდილობდა, რომ სემენოვი არ შეერთებოდა ვლადივოსტოკის მოძრაობის ბელადებს ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ. სემენოვმა ეს არ შეისმინა ამიტომ იაპონიის ხელისუფლებამ უარი უთხრა მას დახმარებაზე და იარაღის დაყრა მოსთხოვეს. ამის გამო სემენოვი ნიკოლსკ-უსურისკში გაემგზავრა. (კავროსტა).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 44.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა.

ელექტრონის სადგურების ნაციონალიზაციის შესახებ.

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა ელექტრონის სადგური, რომლის მამოძრავებელი მანქანების ღონე 20 ცხენის ძალას აღემატება და რომელიც ელექტრონის ენერგიას სხვებს აძლევს, გამოცხადდეს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საკუთრებად.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება ისეთ სადგურებზე, რომელნიც 1921 წ. თებერვლის 26-დე ეკუთვნოდნენ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთ და აგრეთვე იმ სადგურებზე, რომელნიც კოოპერატივებისა და მათი კავშირების საკუთრებას შეადგენენ.

2. ამ დეკრეტის 1-ლ მუხლის თანახმად სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული ელექტრონის სადგურები განაგრძობენ ნორმალურ მოქმედებას, ხოლო მთელი მათი ადმინისტრატიული, ტეხნიკური პერსონალი და მუშები რჩებიან თავიანთ ადგილებზე და ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში.

3. წესი ამ დეკრეტის პირველ მუხლში აღნიშნული ელექტრონის სადგურების წარმოებისა, მათი მართვისა და მიღებისა სახელმწიფოს ორგანოების მიერ, ნაჩვენებია ცალკე დებულებაში, რომელიც ამასთან ერთად გამოიცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ.

4. ყველა დადგენილება და ბრძანება, რომელიც დღევანდლამდე იყო გამოცემული სახელმწიფოს სხვა და სხვა ორგანოების მიერ ელექტრონის სადგურების და მათ მოწყობილების შესახებ და არ ეთანხმება ამ დეკრეტს და მე 3 მუხლში აღნიშნულ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დებულებათ გაუქმებულია ამ დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე **მ. ტოროშელიძე**

რევკომის მდივანი **შ. ელიავა.**

1921 წ. ივნისის 16.

თფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება.

საქართვ. ს. ს. რ. რევოლ-უციონური კომიტეტის 1921 წ. ივნისის 16-ს № 44 დეკრეტით სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული ელექტრონის სადგურების მართვა-გამგეობის წესების შესახებ.

1. სადგურების ძალის (ენერგიის) ექსპლოატაცია, რაიცა გულისხმობს კომერციულ მხარეს და ძალის (ენერგიის) განაწილებას ყველა მოსამსახურეთა შორის, აწარმოებენ კომუნალური მეურნეობანი, ხოლო სადაც ისეთები არ არსებობენ—ადგილობრივი რევკომები. აღნიშნულ საქმის საწარმოებლად კომუნალურ მეურნეობასთან ან რევკომებთან არსდება ორგანო, სამი პირისაგან შემდგარი, რომელიც უნდა არჩეულ იქნეს შემდეგის პრინციპით: თავმჯდომარეს ნიშნავს კომუნალური მეურნეობა ანუ რევკომი, ხოლო დანარჩენ ორ წევრს—პროფესიონალური კავშირი.

2. ამ დებულების 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ საექსპლოატაციო კოლეგიას ევალება სატეხნიკო ზედამხედველობის ორგანოებს ცნობები მიაწოდოს შესახებ იმისა, თუ როგორ არის ნავარაუდევი გასაცემი ენერგიის რაოდენობა და რანაირად არის იგი განაწილებული.

3. სატეხნიკო ზედამხედველობა, რემონტი, ახალი სადგურების აგება ანუ არსებულ სადგურების გაფართოება, აგრეთვე ყოველი ტეხნიკური სამუშაო ქსელისა, შიგა მავთულ საბამისა, ელექტრონის ენერგიის აღმრიცხველი მანქანებისა მომართულებების შეკეთება, ევალება საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ლითონის დამმუშავებელ დაწესებულებათა განყოფილებას და მის ადგილობრივ ორგანოებს. ტეხნიკური ზედამხედველობის მოვალეობას შეადგენს: ცნობები მიაწოდოს საექსპლოატაციო კოლეგიას ელექტრონის ძალის მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რომელიც შესაძლებელია გაიცეს ცალცალკე ყოველ სადგურიდან, იმა თუ იმ ვადით, სადგურის მდგომარეობის მიხედვით.

4. სადგურები, რომელიც არის კომისარიატებისა და საბჭოთა სხვა დაწესებულებათა გამგებლობაში, ამ დებულების გამოქვეყნების დღიდან იმ ფუნქციების მხრივ, რომელიც აღნიშნულია დებულების 1-ლ მუხლში, რჩებიან მათ გამგებლობაშივე, ხოლო სატეხნიკო ზედამხედველობისა და შეკეთების მხრივ გადადიან საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი ან მის ადგილობრივ ორგანოების გამგებლობაში.

შენიშვნა: სადგურები, რომელნიც იმყოფებიან სამხედრო საზღვაო კომისარიატის და სახელმწიფო რკინის გზების სამმართველოს გამგებლობაში, როგორც ექსპლოატაციის და კომერციული, აგრეთვე სატეხნიკო ზედამხედველობისა და შეკეთების მხრივ რჩებიან იმავე ორგანოების გამგებლობაში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მ. ტოროშელიძე.**

საქმეთა მმართველი **ე. მაღდისონი.**

1921 წ. ივნისის 16.

დებულება.

სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული ელექტრონის სადგურების მიღების წესის შესახებ.

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტის ძალით სახელმწიფოს საკუთრებად აღიარებული ელექტრონის სადგურების მიღება მათ ყოფილ მესაკუთრეთაგან სწარმოებს შერეული კომისიების საშუალებით, რომელთაც დაარსებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ან მისი ადგილობრივი ორგანოები კომუნალური მეურნეობისა და პროფესიონალური კავშირების მონაწილეობით შერეული კომისიის შემადგენლობაში შედიან: ერთი წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი ან მისი ადგილობრივი ორგანოსი, რომელიც კომისიაში თავმჯდომარეობს, ერთი წარმომადგენელი კომუნალური მეურნეობისა, ხოლო სადაც იგი არ არსებობს—ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტისა და ორი წარმომადგენელი პროფესიონალური კავშირებისა.

2. ელექტრონის სადგურების ყოფილი მესაკუთრენი ან მათი რწმუნებულნი და აგრეთვე ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთა გამგებლობაში არის ელექტრონის სადგურები, ვალდებულნი არიან, ამ დებულების გამოქვეყნების შემდეგ, სამი დღის განმავლობაში, წარმოუდგინონ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის დამმუშავებელ ქვეგანყოფილებას (ტფილისი, პუშკინის ქუჩა, № 3), ან მის ადგილობრივ განყოფილებათ, ხოლო სადაც იგინი არ არსებობენ,—რევკომებს, თავთავიანთი სადგურების შესახებ მუშათა კომიტეტების მიერ შემოწმებული ცნობები.

3. სადგურის შესახებ წარსადგენ ცნობებში უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ა) გვარი, სახელი და მამის სახელი სადგურის პატრონისა, აგრეთვე სადგურის სახელწოდება.

ბ) სადგურის ნამდვილი მისამართი.

გ) სადგურის ამამოძრავებელი მანქანების ძალა, მათის რაოდენობის ჩვენებით, ყოველი ამამოძრავებელი მანქანის ძალა და ვითარება, ფირმა, ტიპი (ყვრაა თუ დაწვენილი) და ბრუნვის რაოდენობა.

დ) ძალის ელვარების ვითარება (მუდმივი, შეცვლილი, სამთავიანი).

ე) ძალა დინამო—მაშინისა და ელექტრო ამამოძრავებლისა, ვოლტაჟი, ბრუნვის რაოდენობა, ფირმა, ვითარება, (ტიპი), ნომერი, ამამოძრავებელთან შეერთების საშუალება.

ვ) ფირმა და სია ყველა გამნაწილებელი და გამზომავი მასალებისა ვოლტაჟის და ამპერაჟის ჩვენებით.

ზ) სადგურებზედ არსებულ დაზგებისა, მანქანებისა, კუთვნილ ნაწილებისა, იარაღებისა, მასალებისა, ასანთი მასალისა, და ტყვეულობის სია, ზომისა და ღირსების ჩვენებით.

ჱ) ყველა მანქანა, როგორც მუშაობაში მყოფი, აგრეთვე გაჩერებულის მდგომარეობა, იმის ჩვენებით თუ რა აქვს გატეხილი.

თ) ქსელის ჩვენება (ჰაერშია თუ მიწაში), მაგისტრალების რიცხვი, განაწილების ვითარება (ორ მავთულიანი, სამ მავთულიანი). დიდ ძალოვანი ქსელებისათვის უნდა იყვეს წარმოდგენილი რიცხვი და, ძალი სადგურ ნაწილების და ტრანსფორმატორებისა და სწორი გეგმა ქსელისა; მცირე ძალოვანი ქსელისთვის—სიგრძე და დაყოფილება ცალკ ცალკე მაგისტრალებისა და შენებისა დაგვარად, გეგმები ქსელისა.

4. სადგურთა კონტორები მოვალენი არიან, საგანგებო განკარგულებამდე, აწარმოვონ მიმდინარე მოუმედება მუშაობა. უნდა შეადგინონ ნამდვილი ბალანსი ელექტრონის სადგურებისა მათი სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადების დეკრეტის გამოქვეყნების დღემდე და ნამდვილი სია აბონენტებისა, მათის მისამართის ჩვენებით და საშუალო თვიური რაოდენობა თვითეულ აბონენტის დახარჯული ენერგიისა (უკანასკნელ წელში).

5. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მის დაწესებულებებს, რომელნიც ნაჩვენებია ამ დებულების მეორე მუხლში, უნდა გადაეცეს სიები სადგურების პირადი შემადგენლობისა, იმის ჩვენებით თუ ვის რა ადგილი უჭირავს სადგურში და მის კონტორებში.

6. ყველა ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოები, ეკონომგანყოფილებები და რევკომები იმ ადგილებისა, სადაც სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატები ჯერ არ არსებობს, მოვალენი არიან აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ წარუდგინონ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის დამმუშავებელ წარმოების ქვეგანყოფილებას (ტფილისი, პუშკინის ქ. № 3) ამ დებულების მუხ. 2, 3, 4 ნ. ჩვენები ყველა მასალები.

ყველა, ვინც ამ დებულებაში აღნიშნულ ცნობებს არ წარმოადგენს, ან განგებ დაჰფარავს ან გააფუჭებს სადგურის მოწყობილებას, აგეჯს და ქსელის მომართულ ქონებას, ყოფილი მესაკუთრენი და მათი რწმუნებულნი, აგრეთვე გამგენი და ქარხნის კომიტეტის წარმომადგენელნი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და დაისჯებიან რევოლიუციონური დროის კანონების წესების თანახმად.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. ტოროშელიძე.

საქმეთა მმართველი **ე. მაღდისონი**
1921 წ. ივნისის 16.

თფილისი.

ბრძანება № 12

ქალაქ თბილისის ყველა სახლის კომიტეტებს.

ეცნობება სახელმძღვანელოთ რომ ის ოთახები, რომლებიც აღებულია, ან შემდეგ იქნება აღებული ბინების ფონდის შემქმნელ განსაკუთრებული კომისიის მიერ, არავის დაეთმობა. სახლის კომიტეტებს ევალებათ უდავოთ დამორჩილდნენ კომისიის დასკვნას და გაანთავისუფლონ უკანასკნელის მიერ შერჩეული ოთახები მისგან განსაზღვრულ ვადის განმავლობაში. ცნობები განთავისუფლებული ოთახების შესახებ სახლის კომიტეტი მოვალეა დაუყონებლივ წარუდგინოს განსაკუთრებულ კომისიას.

სახლის კომიტეტებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს ევალება აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება კომისიას მის მოქმედებაში.

კომისიის სახელზე მიმართულ განცხადებების მიღება ევალებათ კომისიის მდივანს—ცენტრალურ საბინაო განყოფილების შენობა, საიდრიც განმანაწილებელი განყოფილება,—განიდის ქ. 3.

ქალაქის რევკომის თავმჯდომარე **ა. გეგეჭკორი.**

ბინების ფონდის შემქმნელ განსაკუთრებულ კომისიის თავმჯდომარე **ა. ჩიქოვანი.**

ქრონიკა

◆ **სამოსწავლო-სახელმძღვანელოები.** განათლების სახალხო კომისარიატის მისამართით მოვიდა ორი ვაგონი ლიტერატურა, სასწავლო სახელმძღვანელოებით, საკანცელარიო ნივთებით, მიკროსკოპებით და სამოსწავლო მასალის დიდი რაოდენობით. ამ დღეებში მოელიან კიდევ ორ ვაგონს.

◆ **ინსტრუქტორები სამაზრო სკოლებისათვის.** საქართველოს ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარმა მოსკოვში ლუნაჩარსკის გაუგზავნა დეპეშით თხოვნა სამაზრო სკოლებისათვის ინსტრუქტორების გამოგზავნის შესახებ.

◆ **ახალი რადიო სადგურები.** ნავთლუღში სდგამენ ახალ რადიო სადგურს 15 კილოვატის ძალით, ასეთივე სადგური იდგმება 10 კილოვატის ძალით ბათომში. ფოთში ყოფილ მიმღებ სადგურის მაგიერ იდგმება გადამცემი და მიმღები სადგური 5 კილოვატის ძალით.

სახალხო კავშირის კომისარიატმა გადასცა აფხაზეთის რევკომს სოხუმში რადიო-სადგური $2^1/_2$ კილოვატის ძალით. ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან არსებული ელექტრონის გენერატორულ სადგურის ძალას აღიდებენ 30 კილოვატიდან 50 კილოვატამდე.

◆ **სატელეგრაფო დამოკიდებულება.** ამ ჟამად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სავსებით აღდგენილია სატელეგრაფო და საფოსტო დამოკიდებულება.

◆ **ტელეგრაფის მუშაობა.** გასულ მაისში თფილისიდან 6981 ფასიანი დეპეშა გაიგზავნა. მიღებულია 14,336 უფასო დეპეშა, გაიგზავნა 480, მიღებულია 672. სულ თფილისში გადიგზავნ-გადმოიგზავნა 15.711 დეპეშა.

◆ **ამერიკულ ტანისამოსის განაწილებისათვის.** მოქალაქეთა აუცილებელ სასტიკ აღრიცხვის მიზნით, რომლებიც იღებენ ტანისამოსს გადაცემულ ამერიკულ კომიტეტის მიერ სოციალურ უზრუნველყოფასთან არსებულ განსაკუთრებულ შერეულ კომისიის მიმართ, დასახელებული კომისია სთხოვს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც აღძრეს შუამდგომლობა ტანისამოსის მისაღებათ, სიები წარმოადგინონ შედგენილი ამბანის წესით, გვარის, სახელის და მამის სახელის აღნიშვნით ყველა იმ პირებისა, რომლებზედაც მოთხოვნილია ტანისამოსი. სიები, რომლებიც არ იქნებიან შედგენილნი ანბანის წესრიგით, კომისიის მიერ არ იქნება განხილული.

◆ **ცენტრალური მუშათა კლუბი.** ცენტრალური მუშათა კლუბის დასის მიერ მზადდება დასადგმელათ ახალი რევოლიუციონური პიესები: „ნგრევა“ და „ახალი ფრონტი“.

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების კონფერენცია.

მე 3 დღე. 14 ივნისი.

სხდომა იხსნება საღამოს 5 ს. 10 წ. [illegible] **სრულიად რუსეთის პროფ.** [illegible] **მეოთხე ყრილობის დელეგატების** [illegible] **ხსენება:** მოხსენებას აკეთებს ორი ამხანაგი. ამხ. ლეჟავა და მოვშენზონი.

უკანასკნელის სიტყვით მეოთხე ყრილობა ჩატარდა ფრონტებზე [illegible] მოქმედებათა ლიკვიდაციის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისა და ევროპის პროლეტარიატის საერთაშორისო კაპიტალიზმის ბატონობისაგან განმათავისუფლებელ ბრძოლის მეტი გახანგრძლივების ზე-გავლენით. ყოველივე ამ გარემოებამ ერთ-გვარი დაღი დაასვა ყრილობის ყოველ დადგენილებებს. თუ გადაათვალიერებთ ყრილობის დადგენილებებს, თქვენ იქ დაინახავთ, რომ ეკონომიური გარდატეხა სავსებით გამოხატულია ყრილობის დადგენილებებში. ძირითადი საკითხები ყრილობას არ განუხილავს, ვინაიდან ის უკვე კარგა ხანია, რაც გადასწყდა; იქ განხილულ იქნა მხოლოთ მომენტის მიერ წამოყენებული მთელი რიგი ფაქტიურ საკითხების: ასეთია, მაგალითად, იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საკითხი. აშკარად [illegible] გამორკვეულია, რომ მათ უკვე რუსეთში იარაღით შემოჭრაზე ხელი აიღეს და ახლა სცდილობენ კი შემოჭრას საკონცესიო პირობათა საშუალებით. ცხადია, რომ ესაა ორ მხარეთა შორის ხელ-შეკრულება, ორივე მხარე ამაში დიდათაა დაინტერესებული. ამ კითხვამ სხვა და სხვა მხრივ დიდი სხვა და სხვა გვარი მითქმა მოთქმა გამოიწვია ჩვენი პოლიტიკური მტრების აზრით, ესაა დათმობა—და ეს ნიშნავს საბჭოთა ხელის-უფლების უკან დახევას. ამასობაში, ამხანაგების მდგომარეობა ასეთია: ჩვენ გვსურს ჩვენი ძალა-უფლების განსამტკიცებლად და ქვეყნის საწარმოვო ძალთა აღსადგენათ და დასაკმაყოფილებლად დროს მოგება. ამ ძალის ამაღლება და განვითარება ამტკიცებს ჩვენს ძალა-უფლებას ყველა ის ამხანაგები, ვინც ამხ. ლეზოვსკის ეკამათებოდა, უარყოფენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების საჭიროებას, ეს არაა საჭიროვო, ამბობდნენ ისინი; ამ შეთანხმების განხორციელებით ბურჟუაზიულ კაპიტალს უკვე რუსეთში შემოჭრის საშუალება ეძლევა, უპარტიო ამხანაგებიც უარყოფდნენ ამ შეთანხმების საჭიროებას, ბურჟუაზია—ეს ცუდი საქმეა და უმჯობესია ჩვენის საკუთარი ძალ-ღონით გამოვიდეთ შექმნილ მდგომარეობიდან, ამბობდენ უპარტიონი, მეორე მხრივ, უცხოეთში მილიუკოვი და სხვები ამბობენ, რომ საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულება არაა სანდო, საბჭოთა ხელისუფლება იტყუილებაო. მიუხედავად ყოველივე ამისა, ყრილობამ საკმაოდ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა, ალღო აუღო მას და საწარმოვო ძალთა განმტკიცების და საქარხნო საფაბრიკო ძირითადი მსხვილი მრეწველობის შენარჩუნების შესახებ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. შემდეგი კითხვა იყო პროფ. კავშირების საერთაშორისო მდგომარეობა. ჯერ კიდევ 1917 წლის დასაწყისშივე დაწყებულ იქნა პროლეტარიატის გაერთიანების გარშემო მუშაობა, ერთის მხრივ მის ზე-გავლენითა და მეორეს მხრივ რამოდენიმეთ ყვითელი ინტერნაციონალის ზეგავლენის მიზეზით წინათ არსებული მთლიანობა დაირღვა. ჩვენში იყვნენ პლეხანოველები, გერმანიაში შეიდემანელები. ეს ის შეიდემანელებია, რომლებიც კრუპის ქარხნებში ხალხის ამოსაჟლეტად იარაღებს ამზადებდნენ. ომის შემდეგ წარმოიშვა მოკავშირე ხალხთა ლიგა, რომლის მიზანია, თითქოს სახალხო კეთილდღეობა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სინამდვილეში ის სულ სხვა მიზანს ემსახურება. ამის საწინააღმდეგოდ მოსკოვში დაარსდა გაერთიანებულ პროფკავშირები, რასაც „წითელი პროფ. კავშირი“ ეწოდება. თუ რა უნდა აკეთოს ამ ორგანიზაციამ და თუ როგორ უნდა გაფართოვდეს იგი, ეს მე მინდა ციფრებით დავამტკიცო.

1920 წლის ივლისიდან დაწყებული მიმდინარე წლის მაისამდე, ამ ორგანიზაციაში შემოვიდა 25 გაერთიანებული მუშათა კავშირი. დღეს ეს ორგანიზაცია თავის გარშემო აერთიანებს 14 მილიონ მუშას. ეს კი იმის დამამტკიცებელია, რომ ეს ორგანიზაცია ადგია გაფართოების გზას. ცხადია, რომ სოციალისტური რევოლიუცია არც ისე შორსაა, და მეოთხე ყრილობასაც ეს ასე ესმის. ამიტომაც მან გამოსთქვა სურვილი მუშათა შეკავშირება-გაერთიანების მუშაობის გაგრძელების შესახებ. მაგრამ საერთაშორისო კავშირში შესვლის შესახებ მარტო სურვილი არ კმარა, ამავე დროს საჭიროა, რომ ეს ორგანიზაცია აუცილებლად ჩაებას კაპიტალთან ბრძოლაში. აი, ამხანაგებო, მოკლედ ყოველივე ის, რაც მეოთხე ყრილობაზე გამოითქვა საერთაშორისო გაერთიანების შესახებ. თუ ოქტომბრის რევოლიუციამდე პროფ. კავშირები ეწყობოდნენ წარმოების მიხედვით და მის გარშემო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმავე წარმოებით არიდებოდნენ და ეწყობოდნენ სინდიკატები და აუცილებელ ბრძოლის ნაყოფიერებისათვის საჭირო იყო მძლავრი ორგანიზაციის დაპირდაპირება; ოქტომბრის რევოლიუციის აქეთ სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ. ეხლა-კი მდგომარეობა გამოიცვალა და ჩვენ კიდეც შევსდექით მშვიდობიან აღმშენებლობის ნიადაგზე. ჩვენს წინაშე ეხლა სხვა კითხვები და სხვა ამოცანაა წამოჭრილი. ესაა საორგანიზაციო სააღმშენებლო საკითხები. ამ ჟამად სააღმშენებლო მუშაობის სიმძიმის მთელი ცენტრი გადადის ცენტრიდან და მთავარ კომიტეტებიდან ადგილობრივად საგუბერნიო კომიტეტების ხელში. საორგანიზაციო მუშაობის საგრძნობი წილი დღეს გადადის საგუბერნიო, სამაზრო სახ. მეურ. საბჭოებისა და აგრეთვე მწარმოებელ კავშირთა ხელში, სადაც ეხლა ტარდება დეცენტრალიზაცია. ეს კითხვა წამოდგა მეოთხე ყრილობაზედაც და მან კიდევაც გადასწყვიტა გადაიტანოს სიმძიმის ცენტრი ადგილობრივად, აქედან მოსალოდნელია ამის შემდეგ მწარმოებელ კავშირების მუშაობა-მოღვაწეობის გამოცოცხლება. მაგრამ არის მეორე შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც საორგანიზაციო მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა პროფკავშირებზე დამღუპველია: ის შეხედულება არაა სწორი და არა იმიტომ, რომ თვითმოქმედების განვითარება და სამისო უფლების მინიჭება კავშირებისათვის აუცილებლათ საჭიროა. ცენტრალური საბჭოს და მწარმოებელ კავშირთა ცენტრებს სიშორის გამო არ ძალუძთ გამორკვევა ყველა იმ საჭირბოროტო კითხვებისა, რაც ადგილობრივად წამოიჭრება ხოლმე. ყრილობაზე წამოიჭრა აგრეთვე სატარიფო კითხვა. ამაზე მომხსენებლად გამოვიდა ამხ. შმიდტი. მან აღნიშნა, რომ შეუძლებელი გახდა ამ კითხვის მოგვარება იმ გარემოების გამო, რაც რუსეთმა გადაიტანა თავის თავზე. საჭიროა არა მარტო სატარიფო ქსელის გამომუშავება, არამედ საჭიროა თვით მუშების გამოკვება—და სწორედ ამაში მდგომარეობს სატარიფო საკითხიო. რუსეთს უხდებოდა ყოველ მხრივ ომის წარმოება, თავ დაცვა. სიმრავლე ფრონტებისა არ აძლევდა მუშათა გამოკვების საშუალებას. უპირველესი საკითხი იყო წითელი ლაშქრის გამოკვება და ამ მიზნით მუშათა კლასმა ბევრით ვერ ისარგებლა და მან დიდი გასაჭირიც განიცადა. ამ ჟამად რესურსების გამონაგარიშება მეტად ძნელი საქმეა. შეიძლება კი მხოლოდ დაახლოვებით. უპარტიონი ამბობდნენ: დავუშვათ, რომ მუშათა რაოდენობა ოთხ მილიონს უდრის და მის გამოსაკვებათ საჭიროა 180 მილიონი ფუთი. ნუ თუ გლეხობა არაფერს იძლევა. ჩვენ უნდა მივუთითოთ მათ, რომ საჭიროა ვიქონიოთ გასაცვლელათ საფაბრიკო ნაწარმოების საკმაო ნაყოფიერობა. შესაძლებელია იძულებით ბევრის არსებობა და თუმცა გლეხობას მართლაც აქვს საკმაო ზედმეტი ხორბალი, მაგრამ ამ ზედ მეტს სახელმწიფო ვერ მიიღებს, თუ მან გლეხობას სამაგიერო საქონელი არ მისცა. და აი აქაა საჭირო გადასაცვლელი ფონდი. განზრახულია, რომ თითეულმა წარმოებამ დასტოვოს და შემოიტანოს ამ ფონდისათვის 1—5 პროც. თავის ნაწარმოებისა. ამის ნაწილი მოხმარდება გადაცვლის საჭიროებას, ნაწილი კი შემოინახება ქარხანაში ბაზის შესაქმნელათ. რას წარმოადგენს მუშათა კოოპერაცია და როგორია მისი დანიშნულება მას შემდეგ, რაც სასურსათო გადასახადი იქნება შემოღებული. ყველა მომხრეა ისეთი აპარატის შექმნისა, რომლის დანიშნულება იქნება გაცვლა გამოცვლის წარმოება. ამბობდნენ რომ ეს აპარატი უნდა შეიქნას წარმოების მიხედვით მის ნიადაგზე, თვით მწარმოებელ კავშირმა უნდა თავისით დამოუკიდებლათ აწარმოოს გაცვლა გამოცვლის საქმეო, აგრე შეუძლებელია, დაიწყება კონფერენცია, ერთად ერთი გამოსავალია ეს ტერიტორიალური პრინციპის ნიადაგზე აგება ამ აპარატისა. ამისათვის კი საჭიროა, რომ ის აპარატი, რაც ეხლა მოქალაქეთ ხელშია, ჩვენვე ჩავიგდოთ. კოოპერატივისადმი არსებობს უნდობლობა. მაგრამ ეს იმიტომაა, რომ ამ კოოპერატივის სათავეშია ძველი შეუფერებელი ხალხი და როგორც კი ისინი ჩამოშორებულ იქნებიან იქედან და მას სათავეში ჩაუდგება მუშათა კლასი, უნდობლობას ადგილი არ ექნება.

დასასრულ ვიტყვი ჩემ პირად შთაბეჭდილებათა შესახებ ყრილობაზე. მე პირველად დავესწარი პროლეტარიატის ასეთი რაოდენობის დიდ ყრილობას. ყრილობაზე იყო 2357 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 685 სათათბიროთი: ამ რიცხვიდან 1950 კაცი კომუნისტი. პირველ ყრილობაზე იყო 416 დელეგატი 2 მილ. მუშების წარმომადგენელი, მეორეზე—748—3 მილ. მეტი მუშისაგან, მესამეზე—1326—6 მილ. მუშ, და მეოთხეზე დაახლოვებით 4000 დელეგატი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის, ინდოეთის და ამერიკის კომინტერნის წარმომადგენლების გამოსვლამ, რომელნიც არა იმდენათ გამოვიდნენ მოსალოცათ, რამდენათაც მოხსენებით ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ და აცხადებენ, რომ მათი ქვეყნებიდან იცქირებიან მოსკოვისკენ და იციან, რომ კომინტერნი პროლეტარიატს გზაზე გამოიყვანს (ტაში).

7 ს. 30 წ. სხდომა იხურება „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.**

— **საქ. კომპარტიის [illegible] კომიტეტი—რუსთაველის პრ., 23. ტელ. 5—74.**

— **1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 136, [illegible] „[illegible]“ ტელ. 1—33**

— **მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible]ლის ქ. № 87. ტელ. 5—69.**

— **მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible], კახეთის მოედანი. 5—58**

— **მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. [illegible]**

მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.**

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული

ს. კ. პ. მე-4 რაიკომის პრეზიდიუმი აცხადებს საყურადღებოთ ყველა პოლიტიკომების და ყველა კომფრაქციის მდივნებსა რომ ხუთშაბათს 23 ივნის მეოთხე რაიკომის ბინაზე (ოლღას ქ 23) შესდგება თათბირი კომფრაქციის ყველა პოლიტკომების და მდივნებისა. დღიური წესრიგი: 1) ადგილებიდან მოხსენებები. 2) კონკრეტიული ზომები ნაყოფიერების ასადგენად. ყველა ამხ. პოლიტკომებს ვთხოვთ შემოვიდენ მე-4 რაიკომში ანკეტების მისაღებათ ადგილებიდან მოხსენებებისათვის.

ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სააგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

საქართველოს [illegible] ცენტრალური კომიტეტის სტამბა [illegible] № 4